# თეატრი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

8 სექტემბერი. გამოისცემა № 3 კვირაობით 1885 წელსა.

ფასი „თეატრი“-სა

წლით ხუთი (5) მანეთი, ნახევარ წლით სამი (3) მან. შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათანავე სამი (3) მანეთი, მაისში ერთი (1) მანეთი და მარიამობის თვეშიაც ერთი (1) მანეთი.
ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი (3) შაური.
ფასი განცხადებისა: მეორე გვერდზედ სტრ-ქონზე 5 კაპ. პირველზე 10 კაპ. მთელი უკანასკნელი გვერდი 20 მანეთი, პირველი 35 მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება:

თბილისში გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და „თეატრი“-ს რედაქციაში. ქუთაისში ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში ს. მგალობლიშვილთან. თელავში ი. როსტომაშვილთან. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Театръ“.
კორესპონდენციები და საზოგადოთ ნაწერები პირდაპირ „თეატრის“ რედაქციაში უნდა გამოიგზავნოს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია ავტორს ვერ დაუბრუნებს.

## ჩვენ ლიტერატურაზე

(შემდეგი *).

II

მაშასადამე კრიტიკას აქვს ორ ველზედ თავის ადგილი: პირად ცხოვრებაში, სადაც მან უნდა გააუმჯობესოს კერძო-ოჯახის მდგომარეობა; საზოგადოება-ში, სადაც მან უნდა გააფაქიზოს ზნეობა და დაამყაროს ურთიერთობა.

რასაკვირველია, თუ ეს ასეა, ვერც მწერლობა დარჩება უკრიტიკოთ. იყო დრო, როდესაც პოეტისათვის კმაროდა სიტყვების სერხიანად ჩაწყობა და ამ სიტყვებისავე უმნიშვნელოთ რახარუხი. მაგრამ ესლა ის ნეტარ ხსენებული დრო გაფრინდა დაუბრუნებლივ. ხალხმა წინ წაიწია, გემოვნება გამოეცვალა მას კარგისაკენ და უფრო მაღლისაკენ. სიტყვების რახა-რუხი ველარ აკმაყოფილებს მას. ასე რომ მწერალს წინ უნდა მიუძღოდეს კრიტიკოსი, როგორც ებრაელებს მიუძღოდა სვეტი ნათლისა, უდაბნოსა შინა. კრიტიკოსი მოკვალავს განსწმენდის გზას, რომელზედაც მწერალმა უნდა გაიაროს.



„ულეხის ოჯახიდან“

ურმის შემდეგ სვიმონასა
გახდომია დედა ავათ:
მატყუარა მკითხავს უთქვამს,
წადით არბოს სალოცავათ.

როდესაც ერთი მწერლის ნაწარმოები ირჩევა ამით საშუალება ეძლევა მეორეს, უფრო ნაკლები შეცდომები გარდაულობს წინ. პოეტიური ნაწარმოები ატკბობს გრძნობას, კრიტიკა ავარჯიშებს გონებას და ზრდის მთელ შთამომავლობას. მაგალითებზე შორს არ წავალთ. მათ მოვიყვანთ რუსეთის ცხოვრებიდამ. ავიყვანოთ რუსეთის გამოჩენილი კრიტიკოსი ბელინსკი; რა პატრიოსნებით აღზრდილი შთამომავლობა გაზარდა მან თავის იდეებზე. გადმოვიდეთ სამოცი წლებისაკენ, იმ დროისაკენ, როდესაც ისე შესანიშნავი ტვინის მოძრაობა იყო რუსეთის მწერლობაში. დავაკვირდეთ დობროლიუბოვს, ჩერნიშევსკის და თუ გნებავსთ პისარევსაც, როგორი შრომის მოყვარე შთამომავლობა შექმნეს მათ.

ჩვენ ლიტერატურაში კი კრიტიკას ჯერ-ჯერობით ვერ გაუდგამს ფესვები. როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ლიტერატურა ძრიელ და ძრიელ სუსტია. ვიმეორებთ კიდევ, რომ იგი შეიცავს მხოლოდ ბელეტრისტიკას და იმასაც არა სრულად; იმასაც კარგი მანძილი უნდა გაიაროს რომ დაემსგავსოს რასმეს. ჩვენში სხვა ნაწილი

*) იხილე „თეატრი“ № 2.

ლიტერატურისა ვერ აღორძინდება. მაშასადამე უნდა მივაწვეთ ზემოხსენებულ ნაწილს და მის გაძლიერებას. ამ ნაწილში დასელოვნება შემდგომისათვის, თუ მოვრთეთ, სხვა ნაწილებშიაც ითლად გარდაგვიყვანს.

ქართველებს თუმცალა გვადარებენ ფრანცუზებთან, მაგრამ საუბედუროთ, უმთავრესში კი განსხვავდებით იმათგან. ყოველი ახალი საზიზღრათ მიგვაჩნია და გულგრილათ ვეკიდებით გადევაც იმას. რომ ფრანცუზებსაც ჩვენოდნად სჭირებოდ თ ეს სენი, იგინი ვერ მიაღწევდენ იმ მაღალ მნიშვნელობამდი, რომელიც ესლა აქვსთ. საყვარელი ფრაზა ქართველებისა აი ეს არის: «ღმერთი ამაზე მეტს ნურას მამაკლებს და სხვას არას დავეძებ.» არც ერთ ერს მასზე ადრე მიწის მუშაობა არ დაუწყია, მაგრამ იგი ესლაც ისე მუშაობს, როგორც ორი ათასის წლის წინეთ. იგი არ ბაძავს ევროპიელს ამ შემთხვევაში; ეს მამაკვდინებელი ცოდვაა მისის ჭაზრით.

ჩვენ მოგახსენეთ, რომა ჩვენ მწერლობაში კრიტიკა მიუხედველად მოთხოვნილებისა არსად ჭაჭანებს. ძველს ჟურნალებში იქნება შეხვდეთ ორს ანუ სამს კრიტიკულ სტატიას ბ. ნ. ნიკოლაძისას, (ჩვენ მოგახსენებთ ღირსეულ სტატიებს, თორემ უღირსები და მცირედი კრიტიკული შენიშვნები იქნება ესლაც იბეჭდებოდენ) მაგრამ ეს მაინც არ გვაძლევს ნებას, ვსთქვათ: «ჩვენში კრიტიკა არისო». რათ დასცხრა ბ. ნიკოლაძე და უმტყუნა თავის დანიშნულებას? რა მოგახსენოთ. შეიძლება სხვა და სხვა მასგან დამოუკიდებელი მიზეზები შეხვდა. ისიც შეიძლება, რომ მას გაეხროს სვიფტის პრინციპზე, რომელიც მოგახსენებთ: «უკეთუ თქვენ გინდათ დაიმსახუროთ რეპუტაცია ჭკვიანი კაცისა, თქვენ იძულებული იქნებით იყვეთ იმ ჭაზრის, რა ჭაზრისაც არის ის პირ, ირომელსაც ებაასებით». მკითხველი ცხადათ დაინახავს, რომ ეს პრინციპი და კრიტიკოსობა ვერ მოთავსდებიან ერთად, ვინაიდგან რამდენიმე ჭკვა ერთ გოგრაში ვერ მოთავსდება და რომ არ დაემსახურებიათ სახელი «სულელისა» სიჩუმე არჩია. აბა, ბატონებო! არც უქმათ სიტყვების ფანტვა ივარგებს. აქ ნიკოლაძე რა შუაშია? ჩვენგან კრიტიკის უქონლობის მიზეზი, ჩვენსავე ბუნებაშია. ჩვენ კმაყოფილნი ვართ მით რაც გვაქვს. ვინ შესძლებს უმიზნოთ კედელს ცერცვი შეაყაროს, რომ ეს ცერცვი უმიზნოთავე ძირს ჩამოცვივდეს?

ამას გარდა ჩვენ მწერლობაში კრიტიკის გაძლიერებას ძლიერ უშლის ხელს ჩვენი მწერლების ნაწერების ცალკე წიგნებათ გამოუსვლელობა. კიდეც რომ მოინდომო შენი მშობლიური ლიტერატურის შესწავლა, ვერ ახერხებ. წიგნთ-საცავი ჩვენ არა გვაქვს. ჩვენ მწერლებს რაც რომ სერიანი დაუწერიათ, ძველ ჟურნალებში გაფანტული, რომლების თავის მოყრა შეუძლებელი და მოუხერხებელია.

არ შეგვიძლიან არა ვსთქვათ ორიოდ სიტყვა გაკვრით ესრეთ წოდებულს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე. რაში მდგომარეობს ამ საზოგადოების მოქმედება? განა საკმაოა წერა-კითხვის გავრცელებისათვის რამოდენიმე წიგნების გამოცემა და შეწირვა ამ წიგნებისა რომელიმე სკოლაში? თუ კი ეს საზოგადოება ხედავს, რომ ჩვენი მწერლები, სიღარიბის გამო, ვერ ბეჭდავენ თავიანთ თხზულებებს ცალკე წიგნებად, ეს საზოგადოება რატომ არ გააფართოებს თავის მოქმედების ასპარეზს და არ მისცემს შემწეობას მწერლებს, მათი ნაწერების დაბეჭდვაში? ამით უფრო დიდს სარგებლობას მოუტანს ეს საზოგადოება, ვიდრე რაღაც უმგვანი წიგნების ბეჭდვით და აქეთ-იქით ამ წიგნების შეწირვით. ამ სამის წლის წინად დავინახეთ პირველი ტომი თ. რ. ერისთავისა, მას აქეთ მოველით დანარჩენს და არსად არიან. ნუ თუ ბ. ერისთავი უარს იტყვის დანარჩენი ტომების დაბეჭდვაზე, თუ კი მას საშუალება აღმოუჩნდით? იგივე ითქმის სხვა მწერლებზედაც. როგორ დავიჯეროთ ამ კაცებმა მისთვის იშრომეს, რომ მათი ნაწერები დამარხულ იქმნეს არხივებში, და მოსურნეს არ შეეძლოს გაეცნოს მათ? ათას გვარ საქმეს ვეკიდებით და უმთავრესი კი უყურადღებოდ გვრჩება. ვერმო კაცს არ აძლევს ხელს ჩვენში წიგნების გამოცემა. სადაც ვერმო კაცს არა გაუდის რა, იქ კორპორატიული ძალა არის საჭირო. ასე მოიქცა ძველი კაციც, როდესაც მან ერთმა ვერ შესძლო ბრძოლა ბუნებასთან, მან მოიძებნა თავის ნაირი არსებანი, ანუ უკეთ ვსთქვათ, მოძმენი და წინ აღუდგა ათას გვარ დაბრკოლებებს.

(შემდეგი იქნება)

## ვართანას

სუქდება ჩვენი ვართანა,
მუცელს ისქელებს თან-თანა,
„ბიჭოს“ ეძახის გლეხ-კაცსა,—
«ძმობა» აქვს ნაჩალნიკთანა.
დაჭამა ვარიები,
რაც კი სოფელში გოგავდნენ,
ახლა მამლებსაც ხელს მიჰყოფს
წითელ-წვერებს, მროკავებს.

პალტოთ და ქოლგაით დადის,
ისწავლა დრასტი-დრუსტები,
ფეხებზედ პოლსაპოჭკს იცომს,
გაიძრო ძველი ჩუსტები!
ბოლოთა, ღილინი დუქნის წინ
ღაბაბ-ფუნთუშას უხდება,
რატომაც არ გაისარებს,
რა საქმე იმას უხდება!...

ჭაჭა ფშაველა.

## მუძღვნი

საუკეთესო მელექსეს
მემკვიდრეს რუსთაველისა,
რომლისაც ლექსი დაგატკბობს,
ვით წყარო უკვდავებისა;

რომელსაც მამულისათვის
თვის თავი დავიწყებია,
და ამ ქვეყნად მას მარტო
სევდა გულისა რგებია;

მას მინდა უძღვნა მოთხრობა,
ჩემი პირველი არაკი,
მშობლიურის ხელით მიიღე,
ჩემო ბიძიავ, აკაკი!

ი. რევიშვილი.

## მურა დაითხოვეს!

### თავი I

#### ძაღლი მურია და მენახირე გოგია

ეს იყო გაზაფხულის დილა თენდებოდა სოფ. მცხეთაში; მამლებმა მეორედ იყივლეს და აღმოსავლეთით განათდა ოქროს ფერათ: მზე აპირებდა ამოეყო თავი ჯვარ-პატიოსანის მთიდამ... იღვიძებდნენ მცხეთელები, იღვიძებდნენ ფრინველები და მტკვარ გაღმა, გზა-ტკეცილზედ, გაისმა ოსური ურმების ჭრიალი...

გაიარა კიდევ რამოდენიმე წამმა, მზემ ამოჰყო თავი, მსწრაფლ გამოაფხიზლა ყოველი სულდგმული და ააჭიკჭიკა მთელი ფრინველობა. გაიღვიძა მთელმა ბუნებამ და მგონია არაგვმაც სხვა ფრივ დაიწყო ჩქრიალი... ნამიანი მინდვრიდამ გრილს ნიავს მოჰქონდა სოფლისკენ მშვენიერი სუნი ბალახისა. სვეტის ცხოვლის სამრეკლოზედ გაისმა დიდი ზარის ხმა და დაათხო საყდარზედ მჯდომი გუნდი მტრედისა, რომელმაც ერთი ოთხიოდჯერ ზედი-ზედ შემოუარა საყდრის გუმბათს და მერმე გასწია მინდვრისკენ დღიურის საკვების საძებნელად...

ამ დროს საყდრის გალავნის გვერდზედ ერთ მხარეს გროვდებოდა ნახირი, მეორეს—ხბორები; ძროხებს და ხბორებს მოერეკებოდნენ ან მუდამ ძილის ნატრული პაწია გოგოები, ან კაბის ცალ-კალთა აწეული ბებრები, რომლებსაც ერთს ხელში ეჭირათ საწველელი და მეორეში—პატარა წკეპლა. გროვდება ნახირი და თან-და-თან უფრო და უფრო ისმის ძროხების და ხბორების ბღავილი, ცხენების ჭიხვინი და ფურ-კამბეჩების ყოყინი; ერთს ალაგას ჭიდაობენ ძროხები, მეორეს—დაკუნტრუშობენ ჩვილი ხბორები. ერთის სიტყვით ყველა მხიარულებს, ყველა ცხოველი შეჰხარის გაზაფხულის მზეს, ყველას უქრის პირზედ კმაყოფილების ღიმი.

შეგროვდა და დაიძრა ნახირი მინდვრისკენ. იგი მიუდის ერთს ახალ-გაზრდა შავგვრემანს ვაჟ-კაცს, რომელსაც უჭირავს ერთი უზარ-მაზარა კომბალი და იმის ჩვეულებრივი ,,ჰეი—ჰო—ჰეი“ მუდამ აგონებს საქონელს გაჩქაროს თავის გზაზედ. მარ-

ტო არ მიდის მენახირე, მას მისდევს უკან თავისი ერთგული ამხანაგი—მაღლი მურია.

ჩავიდა ნახირი რიყეზედ და მხურვალეთ დაეწაფა თუმცა კი მღვრიეს, მაგრამ გრილს წყალს; მერმე ჭკრა მან თავი არაგვის ზვირთებს და პატარა ხანს უკან ის ალაგი არაგვისა, სადაც გადიოდა ნახირი, წარმოადგენდა მარტო გაფანტული თავების გროვას.

იშიშვლა მენახირემაც, შეჰკრა თავისი ტანისამოსი და დაიჭირა ცალ-ხელში, მეორე ხელით ერთი მხურვალეთ გადაიწერა პირ-ჯვარი, დასწვდა და აიღო მირიდამ თავისი კომბალი, დაუძახა მურას და ორთავემ გასწიეს ზევით ფონისკენ, რომ ფეხ-დაფის გასულიყვნენ წყალში, თორემ იმ ალაგს, საცა ნახირი გავიდა, მენახირეს ცურვა დასჭირდებოდა და გაზაფხულის ცივ-წყალში ბანაობა, რასაკვირველია, არავის არ ენატრება.

მიდის მენახირე, ალერსიანი სტუნვით მისდევს მას მურა.

მურა ერთი მაან დიდი, თითქმის ხბოს ოდენა მაღლია; ის ისეთი დიდია, რომ კაცს ეგონება ექვსი-შვიდი წლისა იქნებაო, მაგრამ, ის წლისა და ერთი თვის წინად, როდესაც იგი პირველათ მოუყვანეს მენახირეს, ისეთი პატარა ლეკვი იყო რომ რძის მეტს არაფერსა სჭამდა.

მურა მოუყვანა მენახირეს ერთმა მეცხვარემ და მის ნაცვლათ მან წაიღო მარტო ერთი კოდი პური.

გაიზარდა მურა და გაუვარდა სიკაპასის ხმა მენახირიანთ მაღლს. მართლა და საშინელი იყო მურა ქურდებისთვის, დიდი მაღლებისთვის, უცხო კაცებისთვის, მაგრამ დედა-კაცებს, ბავშვებს და პატარა მაღლებს თავის დღეში არას ავნებდა ხოლმე, თუმცა კი ეს უკანასკნელნიც მაან ერიდებოდნენ მას.

საშინელი ქურდებისთვის, მურა ალერსიანად მიუხტის წინ თავის პატრონს და გზადა-გზა ჰკრეფავს პურის ლუკმებს, რომლებსაც ხანდის-ხან გადაუგდებს ხოლმე მას მენახირე.

აი, მივიდნენ ფონთან. მენახირემ ერთი კიდევ გადაიწერა პირ-ჯვარი და შევიდა წყალში; შეტოპა მურამაც, მერმე კი, რა შევიდა ღრმაში, ერთი მაან გადახტა, გააპო წყალი და ისარივით გასწია მეორე ნაპირისკენ...

შუა ზამთარში, ან ზაფხულში რომ გახვიდე არაგვში, ურმის თვლების მორგვებსაც ძლივს დაგიმალავს, მაგრამ გაზაფხულზედ, ან შემოდგომაზედ რომ გინდოდეს მასში გასვლა, თუ შენ თვითონ მცხეთელი არა ხარ,—მცხეთელი გაიყოლიე. ზაფხულ-ზამთრობით პატარა არაგვი, გაზაფხულ-შემოდგომით მრიელ მოდიდდება ხოლმე; უმისოთ ანკარა წყალი წყალდიდობას—ლაფია. ზამთარ-ზაფხულ ალერსიანათ მოჩანჩქარე მისი ზვირთები—გაზაფხულ-შემოდგომით საშინელ სიმღერას დასძახიან.

მაშინდელ მღელვარე ზვირთებს ბევრჯელ გადაუბრუნებია და წაუღია ურმები მათი პატრონებით, რომლების ყვირილიც: „მიშველეთ, ქრისტიანებო", ხან მუშაობას ანებებინებს თავს და ხან ლოგინიდამ წამოჰყრის ხოლმე საწყალს მცხეთელებს, რომლებიც დატიტვლებულნი ებრძვიან ხოლმე აღშფოთებულს არაგვის ზვირთებს და მნელათ თუ დაანებებენ მათ გადაბრუნებულის ურმის უბეს, ან ღერძს, ან თვლებს, ან უღელს; მაგრა ჩაჭიდებულის ხელით მცხეთელი მისდევს დაჭერილს საგანს იქამდის, მინამ უთუოთ გამოიტანს მას. მაგრამ ყოველთვის დროზედ ვერ მოას-

წრობენ ხოლმე მცხეთელები და ამიტომ მაინც ბევრი ურემი წაუღია არაგვს, ბევრი ადამიანი დაუღრჩვია მას.

გავიდა გაღმა მენახირე გოგია და მასზედ უფრო უწინ მისი მურა. მათ ორივემ ერთად ერთი კიდევ წამოუარეს საქონელს და ჩქარის ნაბიჯით გაირეკეს წინ ახლად ამწვანებულს მინდორზედ ხას-ხასი ბალახის სამოვნელათ...

ი. რევიშვილი.

(შემდეგი იქნება)



საღამო ტყეში

ხეზე ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

(სურათზე).

ლად-ღად-მღიმარი, გაზადრული, უხვ-სხივიანი,
ჯადოსნიანი, მომხიბლავი, ცელქ-ეშმაკური,
ეს მორცხვი ქურდი, მოაშიფე ალერსიანი,
მთის წვეროს უკან ამოეშვა მთვარისა ყური.

ტკბილის ღიმილით გადმოხედა მან ქვეყანასა
და თვითო სხივი ყველას უძღვნა, მიასალმა.
მკრთალი ნათელი გადაჰფინა სავსე ყანასა,
ვარდს გადუსვა, გადაჰკოცნა, ნამი ანამა.

მას შეხედვაზე ქალწულივით ჩაფიქრებული,
ნამით მორწყული მდაბალ ბუჩქში გასარდა ია,
მისკენ დაეშვა მთვარის სხივი აფეთქებული,
და მას ყვავილიც მიეგება წინ გულ-მკერდ-ღია.

ტყემაც მაღალმა, შეუვალმა და თავ-ნასრიალმა
მნათობის შუქზედ მხიარულად თავი აჰყარა,
და იადონმა, ამ უმანკო ბუნების შვილმა,
მთვარის ამოსვლა მიძინებულ ხმელეთს ახარა.

## წერილი ძველს მეგობართან

### II

ჩვენი აულა-დიდება ერთს ჯორს აეკიდებაო, ნათქვამია. მე ქვეყნიურ სანოვაგოზედ, ე. ი. ღვიურ სარჩოზედ არ მოგახსენებთ. მართლა ქართველი კაცი ჯერ ისრე არ გალარიბებულა, რომ სტუმარს გოჭი მაინც არ აუჭყივლოს და ხუთ კოკიანს არ მოუშველიპოს. ღვთის მოწყალება მრავალი გვხლავთ. თუნდაც რომ არ იყოს, ჩვენ ნეტარ ხსენებულის ლუარსაბის ანდერძს ვერ გავსტეხავთ და კიდობანში და ქვევრში რო თაგვები ჯირითობდენ, მაინც «სავსეთ გახლავთ»!—უნდა ვიძახოთ. მე მოგახსენებთ გონებით საუნჯეზედ (ეხლანდელზედ რასაკვირველია), რომელიც არამც თუ ერთს ჯორს, მერწმუნეთ, ერთი გადამხრჩვალი კატაც კი სულ სირბილით ატარებს. ნამეტნავად ამ უკანასკნელს ათ წელიწადში თითქოს მთლად გაიყინა, ერთხელ გამხვალი ქართველის ტვინმა მოძრაობა შესწყვიტა. თითქოს „დროება“ ისევ ისე გამოდის, ორშაბათისა, ყველა დიდი და პატარა დღესასწაულის გარდა კვირიკობამდე და წმიდა მარინეობამდე; ზანტი „ივერიაც“ მზეთუნახავი ქალივით შვიდ წელიწადში ერთხელ დაგვენახვება ხოლმე, თითქოს მარტო მისთვის, რომ იმ ერთი რუსულისა არ იყოს, მოგვაგონოს: «ЖИВЪ курилка не умеръ'» მაგრამ ვაი ამისთანა გაძალღებულ სიცოცხლეს. ამისთანა ავადმყოფის პატრონი ხატის წინ დაეცემა და შეჰვედრებს ხოლმე: «დიდებულო ფუმთი ანგელოზო, აკმარე მაგდენი ტანჯვა და კეთილად მიიბარე ამისი ცოდვილი სული!“ «ნობათმაც“ თავის პაწაწა მკითხველებს აღუთქვა: „დღისით და ღამით მოყმენი «ნობათსა» არ დასცდებიანო», მაგრამ ღამეს ვიღა სჩივის, ნეტავი დღისითაც არ დასცდენიყვნენ. გადაფურცლეთ ახლა ეს უდღეო ნაყოფნი უმწიფარი გონებისა, ვის არ დაუპუდნია ამ ტიელ ეკლესიაში. ერთი ის და გვაკლია, რომ ლუარსაბ თათქარიძემ მოწინავე წერილები სწეროს და მისმა კნეინა დარეჯანმა კრიტიკული მიმოხილვა. ერთის სიტყვით, ამ ცოტას ხანში მწერლების რიცხვმა ერთი ათად იმატა, მაგრამ მწერლობა კი მიწასთან გასწორდა. ეს მოვლენა ნუ გაგაკვირვებს, ჩემო კეთილო, რადგანაც ეს ბუნების კანონი გახლავთ: მუხა რომ გადაიქცევა, იმის ნადგომზედ ათასი უხეირო სოკო ამოჰყოფს თავსა. საკითხავი ის არის: რამ გადააქცია ის მუხა? ქართველის კაცის აზრის გამოფხიზლება თვალ საჩინოდ იწყება იმ დიდებულის ეპოქიდამ, რომელსაც ჰქვიან ბატონ-ყმობის გაუქმება; მაშინ გამოვიდნენ ასპარეზზედ შვილები, რომელთაც უარ ჰყვეს და დაჰგმეს მამათა საქმენი და ზეთის ხილის ყლორტით მოფრინდენ. შეიძლება მათ გმობაში გულწრფელობაც იყო, მაგრამ მუქთი ოფლით მორწყულ ნიადაგზედ ლაღად ამოცენებულმა ბუნებამ თავისი მოითხოვა, აზრმა მანამდისინ იმუშავა, მინამ თბილი კერიდამ ძალად გამოგდებული ნაკარქექია მყუდრო ალაგს მიაწყდებოდა სადმე, და რაკი ეს ალაგი მონახა, მაშინ ტვინის მოძრაობაც შესწყდა. მართლაც და დიდი შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლუარსაბის შვილი ჩვენთვის პრომეთეოსი შეიქმნებოდა, რომელიც ზეციურს ცეცხლს მოგვინიჭებდა. „მსგავსი ყველაი მსგავსსა ჰშობს, ესე ბრძენთაგან თქმულთა“, ამბობს პოეტი. მაგრამ ლუარსაბის შვილმა რომ „აზნაურის წესზედ» ისე მალე დაიძინა, ეს გარემოება აგრე რიგად სამწუხარო და სავალალო არ იყო ჩვენთვის,—უფრო სავალალო შედეგი თან მოჰყვა ამ გარემოებას. საქმე იმაშია, ჩემო ბატონო, რომ ერთხელ გმირად ცნობილი ლუარსაბის-ძე თუმცა მომეტებულად დაძაბუნდა, მაგრამ მაინც გმირად მიგვაჩნია. ეა შეიქმნა ბევრისთვის ლიბრად, რომელიც თვალზედ გადაეკრა და მზის სხივს მოაშორა; ეს შეიქმნა ბუნდად, რომელიც ზოგიერთის გონებას დააწვა და მთლად დავთრები დაუბნია. ამას გარეისად ჩვენ არავინ მიგვაჩნია. მოდით ყოველნი უძლურნი, მაშვრალნი, საპყარნი და საცოდავნი და განისვენეთ წიაღთა ზედა აბრამისათა... შორს, შორს და განვერდით ყოველნი თავმომწონნი და მოკისკასენი ნიჭით და გონების ძალით! ამ შემთხვევაში ჩვენ ისეთი ფრთხილნი ვართ, რომ ღმერთმა შეარცხვინოს ქაჯეთის ციხის გუშაგების სიფრთხილე. თუ რომე-

ლიმე ყმაწვილს პატარა ფხა შევატყეთ, ვაი იმის ტყავს! —სულ რათა მშობე დედილოს ვაძახებინებთ. მრავალი ჩავკალით, უფრო მეხლიანებმა თავს უშველეს და უცხო ბანაკში გადაგვასწრეს და იქიდამ, გატეხილს გეტყვი, იქიდამ ისეთს ისრებს იტყორცნებიან, რომ ჩვენში აწევაც არავის შეუძლიან და ხალხი კინალამ თავიანთ მხარეზედ გადიბირეს; მაგრამ ჩვენ ერთი მოულოდი წამალი გვაქვს, რომელსაც ყოველთვის ვხმარობთ, როდესაც გვსურს საზოგადოებას შევაზიზღოთ ვინმე: ჩვენ იმას მამულის მოღალატედ გამოვაცხადებთ! ხა, ხა, ხა! ჯაშუში, მამულის მოღალატე!... რათა? რისთვის? მისთვის რომ ჩვენთან ერთად ვირის ბაგაზედ არ დაება, თავისი ნიჭი «მამაც გიყვარდა ურემი დაწექ და დაიძინეო“-ს პრინციპს არ ამსხვერპლა და თავს უშველა. დიაღ, დრონი მეფობენ. იმისთანა დროც გამოერევა ხოლმე ისტორიაში, როდესაც ზაქი ფრინავს, ვირი გალობს და აქლემი ლეკურს უვლის. ჩვენში სწორეთ ის დრო არის, როდესაც გალაღებულს სიბრიყვეს და მტკნარს უნიჭობას ძმურად ხელი-ხელს გადაუდვიად, მტკიცე კავშირი შეუკრავთ და გაშმაგებით სდევნიან ყველას, ვისაც კი ნატამალი მაინც გამოჰყოლია იმ სულისა, რომელიც ღმერთმა ადამს შთაბერა. მაშასადამე, ჩვენვე ვართ შემქმნელნი და მეხრუჭის მომჭირვებელნი ჩვენის გონებისა და არა ის გარეშე, ანუ, როგორც მიღებულია, „ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზები,“ რომლებსაც ყოველთვის ხელს ვაწმენდთ, როდესაც კი გვინდა ჩვენი სიზარმაცე და გონებითი უძლურება დავფაროთ.

რა ხელი აქვსთ დამოუკიდებელ მიზეზებს დრამატიულ საზოგადოებასთან, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან, რომ არაფერი კეთდება? ვინ, რომელი გარეშე მიზეზი გვიკაკუნებს თავში, რომ გინდა თუ არაო ჩვენს სცენაზედ ბაყლებმა და მენახშირეებმა ითამაშონ და არა ნამდვილმა არტისტებმაო? ვინ გვატანს ძალას, რომ „დროებაში“ და „ივერიაში“ ლომა ზაქებმა სწერონ და არა ნიჭიერმა მწერლებმაო? და სხ. და სხ.

ყოველს მეთაურს ორში ერთი ნიჭი უნდა ჰქონდეს: ან თითონ უნდა იყოს ნამდვილად ნიჭიერი და გამჭრიახი, ან უნდა შეეძლოს ნიჭიერის კაცის ცნობა და მის დაახლოებას ეცადოს. ჩვენს მეთაურებს პირველი ნიჭი მოკლებული აქვთ, მეორე აქვთ, მაგრამ, საუბედუროდ სრულიად საწინააღმდეგოდ ხმარობენ. ძრიელ სასიამოვნო იქნება, რომ ამისი პასუხი ვინმემ ბრძანოს, რადგანაც ვიცით, რომ ჩვენის აზრის მოწინააღმდეგე ბევრი გამოჩნდება. სასურველია, რომ მეტოქე ასპარეზზედ გამობრძანდეს და თავისი წინააღმდეგობა ჯიბეში მუშტის ღერებით არ დაასრულოს, როგორც მიღებულია ჩვენში.

დავით სოსლანი.

---

## ხალხური ლექსები

შეკრებილი ქართლ-იმერეთში სოსიკოსაგან.

ყველა ჩიტები ხეზე ზის,
ჭყუერი მიწაზე გოგდება.
«ქალო რად გინდა უცხო მხრის?
დასნეულდება, მოკვდება».

—

მინდვრიდამ მოსვალ, შენ ქალო,
ამამავალი მზე ხარო,
ნეტაი იმის დედასა,
რომლის მკლავზედა სწევხარო.

—

ნადარბაზევის ტირილი
ჩამოდის ზარის ხმაზედა.
მე ბულბულები მეგონა,
ქალი ტიროდა ქმარზედა.

—

ჭალა-ტყის ხეობაზედა
ხე მოსჭრეს მირობაზედა,
გუშინ რომ სიტყვა მითხარი
როგორ ხარ პირობაზედა?

—

ლამაზმა სთქვა, ბნელ ღამეში
მე არ მინდა ფეხრანიო;
ბიჭი მინდა პირ-ტიტველა,
პირს არ ესხას ბალანიო.

—

ქალები დაგროვებულან
სამინდის სათოხნელათ;
ლოყები დაწითლებიათ
ბიჭების საკოცნელათ.

---

რედაქტორი და გამომცემელი ვ. აბაშიძე.

# განცხადებანი

საყოველ-კვირაო ლიტერატურული და მხატვრობითი გაზეთი.

# „თეატრი"

გამოიცემა 1885 წ. ენკენისთვიდამ ქ. ტფილისში. გარდა პ.რ-და-პირი თვ-ს დანიშნულებისა, ე. ი. ადგილობრივი თეატრების (განსაკუთრებით ქართული) მდგომარეობის დაწვრილებით აღწერისა, «თეატრი», ჩვენ ლიტერატურასაც თვალს ადევნებს. დრო გამოშვებით «თეატრ»-ში მკითხველი ნახავს მოთხრობებს, ლექსებს და ბევრს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამბებს.

ჩვენ ლიტერატურაში გამოჩენილ მოღვაწეთ «თეატრს»-ს აღუთქვეს თავიანთი მონაწილეობა.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით. ფასი «თეატრი-»სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის მომწერთათვის ღირს ხუთი (5) მანეთი, ნახევარის წლით—სამი (3) მანეთი. ცალკე ნომერი ღირს სამი შაური.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში «თეატრი»-ს რედაქციაში და გრიგ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში—მმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Театръ".

---

სათეატრო განცხადება

ამ წლის ოკტომბრის 1-დამ 1886 წლის აღებამდის **ქართული დრამატიული დასი** დაიწყებს წარმოდგენების გამართვას.

ამის გამო დასის გამგეობა მოიწვევს, როგორც ძველ არტისტებს, აგრეთვე დასში ახლად შემოსვლის მსურველთ წარუდგინონ თავიანთი პირობები დასის საქმეთა გამგეს.

საქმეთა გამგე გ. აბაშიძე.

---


## „დროების"

ფასი სექტემბრის პირველიდამ წლის დამლევამდე — — — — — — — 4 მან.
სოფლის მასწავლებელთათვის — — 3 მან.

---

Продолжается подписка на 1885 годъ.

## ГАЗЕТА А. ГАТЦУКА.

Иллюстрированная, политическая, литературная, ремесленная. Преміи 1885 г. 1) *Крестный календарь на 1886 годъ на веленновой бумагѣ.* 2) *Повѣсти и раманы.* 3) *Иллюстрированныя драмы Шекспира.*

Цѣна на годъ съ доставкою и пересилкою—5 руб.
на ½ года — — — — — — — —3 руб.

Адресъ: Москва, Никитскій бульваръ, д. Гатцука. (3—2)

Продолжается подписка на 1885 год.

## ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ МИРЪ.

| на ½ года съ достав. и пересыл. 3р. | **МИРЪ.** | на годъ съ дост. и перес. 5 р. |
|---|---|---|

БОЛЬШОЙ ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

**Новые подписчики получатъ журналъ съ 1-го №.**

Въ теченіи года выдается: 1) *52 иллюстрированныхъ №№ журнала;* 2) *„Еженедѣльныя литературныя приложенія";* 3) *„Художественныя приложенія";* 4) *„Новѣйшія моды"* и 5) главная премія **„Живописный Альманахъ"**.

Желающіе ознакомиться съ журналомъ могутъ получить одинъ № за 2 семикопѣечныя марки.

**Адр. редакцій Спб. Невскій пр. № 76.** (3—2)


Дозволено Цензурою Тифлисъ, 1885 г. 8 сентября. Тип. на Лорисъ-Мелик. ул. д. Зубалова. სტამ. გრ. ჩარკვიანისა.